

დაზღვევა სოფლის მეურნეობაში

შესავალი

სოფლის მეურნეობისთვის დამახასიათებელია რამდენიმე რისკ ფაქტორის არსებობა და აქიდან გამომდინარე, ძალიან აქტუალურია ამ რისკების მართვა, რაც თავის მხრივ, მოიცავს იმ სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების არჩევას, რომლებიც ამცირებენ ამ რისკების ნეგატიურ ფინანსურ გავლენას. რისკ ფაქტორებში იგულისხმება როგორც ბიოლოგიური და კლიმატური, ასევე ფასების ცვალებადობა. აგრარული რისკ ფაქტორების შინაარსიდან გამომდინარე, სხვა მწარმოებლებისგან განსხვავებით, ფერმერებისთვის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული კერძო კომპანიებისთვის საკმაოდ რთულია მისაღები შემოსავლის და შესაბამისად, მოგების წინასწარი პროგნოზირება.


თანამედროვე პერიოდში სასოფლო-სამეურნეო რისკების მართვის სტრატეგია შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს:

- შიდა აგრარული სტრატეგია – დაბალი რისკის მატარებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა და გაშენება ან მოკლე საწარმოო ციკლი, საწარმოო პროგრამების დივერსიფიკაცია და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ეტაპობრივი წარმოება;
- დარგის გარე სტრატეგია (რისკების განაწილების სტრატეგია) – დაზღვევა, ორმხრივ ფონდებში მონაწილეობა, ფიუჩერსული გარიგებები და კონტრაქტები.


ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ინსტრუმენტები, როგორც სასოფლო-სამეურნეო რისკების მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური საშუალება და გაგაცნოთ ინფორმაცია ამ კუთხით განვითარებულ ქვეყნებში არსებული სიტუაცია, რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე. გარდა ამისა, მოკლედ ვისაუბრებთ განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელ ტენდენციებზე და პრობლემებზე.

დაზღვევა რეგიონების მიხედვით და დაზღვევის სახეობები


ქვემოთ მოცემულია 2005 წლის მონაცემები მსოფლიო მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაზე რეგიონების მიხედვით. როგორც ჩანს, სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ნახევარზე მეტი მოდის ჩრდილოეთ ამერიკაზე, ხოლო მესამედზე ცოტა ნაკლები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე. რაც შეეხება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, ამ ქვეყნებზე მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის მხოლოდ 3% მოდის.



ქვემოთ მოცემულია მონაცემები, რომელიც გვიჩვენებს დაზღვევის იმ სახეებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მსოფლიო პრაქტიკაში.



ხოლო რაც შეეხება მსოფლიო მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის კონკრეტული პროდუქტების გამოყენებას, ამ კუთხით შემდეგი სურათი იკვეთება:



როგორც ირკვევა, სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაში თითქმის ნახევარზე მეტი მოდის სასოფლო სამეურნეო კულტურების და ტყეების დაზღვევაზე.

განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო სისტემა

განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელია სამი ტიპის სადაზღვევო სისტემის არსებობა:

1. კერძო სადაზღვევო სისტემა, რომელსაც მთლიანად უზრუნველყოფენ კერძო სადაზღვევო კომპანიები. არ ხდება სადაზღვევო პრემიების სუბსიდირება სახელმწიფოს მხრიდან. კერძო სადაზღვევო სისტემა მოიცავს მხოლოდ რისკების და პროდუქტების შეზღუდულ ჩამონათვალს (ძირითადად სეტყვის და ყინვის დაზღვევა);
2. ერთობლივი, სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო სისტემა, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობას. კერძო სადაზღვევო სისტემისგან განსხვავებით, ეს სისტემა მოიცავს გაცილებით ბევრ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს და რისკს. ხორციელდება სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაში, რაც ძირითადად გამოიხატება პრემიების სუბსიდირებაში და გადაზღვევაში. ამ სისტემის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ფარავს შემოსავლების დაკარგვას და ამცირებს სახელმწიფო დანახარჯებს სხვადასხვა დახმარების პროგრამებზე;
3. სახელმწიფო სადაზღვევო სისტემა. სახელმწიფო სადაზღვევო სისტემაში მონაწილეობენ სახელმწიფო ორგანიზაციები და ხშირ შემთხვევაში გამოიყენება სავალდებულო დაზღვევა. სახელმწიფო დაზღვევა მოიცავს გაცილებით მეტი რისკის და პროდუქტის დაზღვევას, ვიდრე ამას აკეთებენ კერძო სადაზღვევო კომპანიები.

გთავაზობთ მოკლე ინფორმაციას რამდენიმე ქვეყნის მიხედვით:

ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ში მოქმედებს ფედერალური მთავრობისა და კერძო სადაზღვევო კომპანიების თანამშრომლობის ერთობლივი, კერძო-

სახელმწიფო სისტემა და მოსავლისა და შემოსავლების დაზღვევა ხორციელდება მოსავლის ფედერალური დაზღვევის პროგრამის მეშვეობით. ფერმერებს შეუძლიათ აირჩიონ განსხვავებული სადაზღვევო მომსახურება – მონორისკი (ფარავს რისკის მხოლოდ ერთ სახეობას), პლურიისკი (ფარავს რისკების განსხვავებულ სახეობების ნებისმიერ კომბინაციას), მულტირისკი (ფარავს რისკის ყველა სახეობას).

სადაზღვევო პოლისების მიღება შესაძლებელია ასზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოშენება-მოყვანისთვის, მაგრამ 2004 წელს მხოლოდ ოთხი სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე (სიმინდი, სოიო, ხორბალი და ბამბა) გაიცა მთლიანი პრემიების (4 მილიარდი აშშ დოლარი) 79 %. 2005 წლისთვის მთლიანი მოსავლის 72% იყო დაზღვეული ფედერალური დაზღვევის პროგრამის მიერ. გადაზღვევის ოპერაციები ხორციელდება ერთობლივად (ფედერალური მთავრობის და კერძო სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობით) სტანდარტული სადაზღვევო შეთანხმების საფუძველზე.

კანადა. 2003 წელს კანადაში გადაიხედა და ახლებურად ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო რისკების მართვის პროგრამა. ახალი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის სისტემა ჩამოყალიბდა ორი ძირითადი სქემისგან შემდგარი: პროდუქციის დაზღვევა და შემოსავლების სტაბილიზაცია. აშშ-სგან განსხვავებით, კანადური სადაზღვევო სისტემა მთლიანად ხორციელდება ფედერალური და ადგილობრივი მთავრობების მიერ. სადაზღვევო მომსახურებაზე უშუალოდ პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი მთავრობები. 2006 წლისთვის ფედერალურ მთავრობისა და ადგილობრივი მთავრობის მიერ გაწეული დანახარჯების გადანაწილება იყო 60:40.

2004 წლიდან შემოსავლების სტაბილიზაციის პროგრამა შეცვალა კანადის სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის სტაბილიზაციის სქემამ, რომელიც დაეფუძნა ფერმერებისა და კერძო კომპანიების თანამშრომლობის პრინციპს. ყველა ფერმერსა თუ კერძო კომპანიას ენიჭება შესაბამისი ზღვარი (სხვაობა შემოსავალსა და ხარჯს შორის), რომელი იანგარიშება როგორც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მიღებული მოგების საშუალო მაჩვენებელი. სქემის მიხედვით დანაკარგების ანაზღაურება ხდება მაშინ, როდესაც წლიური წარმოება ეცემა მოცემულ ზღვარზე დაბლა.

მთლიანობაში, ფედერალური და ადგილობრივი მთავრობების მიერ სასოფლო-სამეურნეო რისკების მართვაში საშუალოდ 1.8 მილიარდი კანადური დოლარის ინვესტირება ხდება ყოველწლიურად. 2004 წელს მთავრობის მიერ დაახლოებით 600 მილიონი დოლარის პრემიები გაიცა.


ესპანეთი. ესპანეთისთვის დამახასიათებელია ერთობლივი, კერძო-სახელმწიფო სადაზღვევო სისტემა, რომელიც ფარავს ყველა შესაძლო სასოფლო-სამეურნეო რისკს. ყველა სახის სადაზღვევო პრემია 50%-ით სუბსიდირდება სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, სახელმწიფო ახორციელებს გადაზღვევის ოპერაციებსაც. საშუალოდ, ყოველწლიურად ხდება მოსავლის 70 პროცენტის დაზღვევა. ისევე როგორც აშშ-ში, ესპანეთში სადაზღვევო პრემიები გაიცემა რისკების ყველა სახეობაზე. აშშ-სა და კანადისგან განსხვავებით, ესპანეთში ფერმერთა ასოციაციები უფრო აქტიურად არიან ჩართული სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის განხორციელებასა და განვითარებაში.

ესპანეთში სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა ხორციელდება სამი წამყვანი ორგანიზაციის მიერ:

- ENESA – სახელმწიფო ორგანო, რომელიც ამზადებს ყოველწლიურ სადაზღვევო გეგმას და აკონტროლებს ამ გეგმის განხორციელებას, ახორციელებს სადაზღვევო პრემიების სუბსიდირებას;
- AGROSEGURO – კერძო კომპანიების გაერთიანება, რომლებიც წლის განმავლობაში ინაწილებენ მთლიან რისკს;
- CCS – სახელმწიფო კომპანია, რომელიც ახორციელებს გადაზღვევას.

სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის პოლისებში გადახდილი თანხების მთლიანმა ოდენობამ 2003 წელს 550 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, საიდანაც დაახლოებით 225 მილიონი გაიცა სახელმწიფოს მხრიდან.

თუ შევხედავთ სადაზღვევო სტატისტიკას ცალკეული პროდუქციის მიხედვით, 2005 წლისთვის ესპანეთში ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგი იყო:



როგორც ჩანს, 2005 წელს ქვეყნის ტერიტორიაზე მოყვანილი ბანანის და პომიდორის 100% დაზღვეული იყო.

გერმანია. მოქმედებს კერძო სადაზღვევო სისტემა, რომელსაც ძირითადად სააქციო საზოგადოებები და ამ მიზნით სპეციალიზებული კომპანიები ახორციელებენ. გერმანიაში არ ხდება სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პრემიების სუბსიდირება. ერთობლივი დაზღვევა ხორციელდება ფერმერული ასოციაციების მიერ.

ნიდერლანდები. მოქმედებს გერმანიის მსგავსი სიტემა, რომელსაც ძირითადად ახორციელებენ კერძო სადაზღვევო კომპანიები. არ ხდება სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პრემიების სუბსიდირება. მოსავლის დაზღვევაში არსებობს სახელმწიფო გარანტია.

იტალია. იტალიაში მოქმედებს ერთობლივი, კერძო-სახელმწიფო სადაზღვევო სისტემა. დაზღვევა არ არის სავალდებულო, ის ნებაყოფლობითია და შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმება. სახელმწიფო ახორციელებს პრემიების 80%-ის სუბსიდირებას. რისკების მართვის კოორდინაცია ხორციელდება ეროვნული სოლიდარობის ფონდის მიერ. გარდა ამისა,

მოქმედებს გადაზღვევის ფონდი. ფერმერებს შეუძლიათ აირჩიონ განსხვავებული სადაზღვევო მომსახურება – მონორისკი, პლურირისკი და მულტირისკიც.

ავსტრია. აქაც ერთობლივი, კერძო-სახელმწიფო სადაზღვევო სისტემა მოქმედებს. არსებობს დაზღვევის ორი შესაძლებლობა:

- ძირითადი დაზღვევა, ისეთი რისკებისა, როგორცაა გვალვა, ყინვა, წვიმა და შტორმი;
- სპეციალური დაზღვევა სეტყვაზე.

სადაზღვევო პრემიების 25%-ის კომპენსირება ხდება ფედერალურ დონეზე და მეორე 25% ადგილობრივ დონეზე. 2004 წელს ავსტრიაში დაზღვეული იქნა მთელი მოსავლის 78%, ვენახის 60%, ხეხილის ბაღების 46%, საძოვრების 22% და სათბურების 92%.

საბერძნეთი. საბერძნეთისთვის დამახასიათებელია სახელმწიფო სადაზღვევო სისტემა და სავალდებულო დაზღვევა. კერძო სექტორი მონაწილეობს მხოლოდ მზა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაზღვევაში.

ლიტვა. ლიტვაში, ისევე როგორც ევროკავშირის სხვა ახალ წევრ სახელმწიფოებში, სუსტადაა განვითარებული სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა და შესაბამისად, ძალიან ცოტა ფერმერი იყენებს რისკების მართვის სტრატეგიას. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიცაა, რომ სადაზღვევო მომსახურება ძვირია და ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. მაგალითად, 2005 წლისთვის ლიტვაში მოსავლის მხოლოდ 0.49% იყო დაზღვეული და მხოლოდ ერთი სადაზღვევო კომპანია აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო დაზღვევას, კერძოდ მოსავლის დაზღვევას.

განვითარებადი ქვეყნები

სასოფლო-სამეურნეო რისკების არსებობა განსაკუთრებით საგრძნობია განვითარებად ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობა და აგრო-ბიზნესი მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. სოფლის მეურნეობაზე თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული პერიფერიებში მცხოვრები მოსახლეობა, რაც თავის მხრივ იმის მანიშნებელია, რომ ამინდის ცვალებადობას

სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, რაც ნეგატიურად მოქმედებს ერთი და იმავე დროს, ერთი და იგივე არეალში მოქმედ ფერმერებზე და კომპანიებზე.

განვითარებადი ქვეყნების ფერმერებს და ბიზნესმენებს არ გააჩნიათ საკმარისი წვდომა საკრედიტო ბაზრებზე, გლობალურ თუ ადგილობრივ სადაზღვევო რესურსებზე და საკმარისი ფინანსები იმისთვის, რომ გაუმკლავდნენ შოკებს.

განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, განვითარებად ქვეყნებს გააჩნიათ შეზღუდული ფისკალური რესურსები და მათი ალტერნატიული ღირებულება გაცილებით მაღალია ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო რისკების მართვის პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია შემოსავლების კომპენსაციაზე. განვითარებად ქვეყნებს კი ეს არ შეუძლიათ, ერთის მხრივ გამოძინარე იქიდან, რომ ამ ქვეყნებში როგორც ზემოთ აღინიშნა, ფისკალური რესურსები საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო მეორეს მხრივ, სოფლის მეურნეობით დაკავებულია მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილი, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს სიტუაციას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობაში და მასთან დაკავშირებულ მრეწველობის სხვა დარგებში დაკავებული მოსახლეობის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი იწვევს იმას, რომ ამინდის ცვლილებებიდან და სხვა შოკებიდან გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო დანაკარგი მეტნაკლებად აისახება მთლიან შიდა პროდუქტზე, რაც ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად აფერხებს ამ ქვეყნების ეკონომიკის ზრდას.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ განვითარებულ ქვეყნებში (მაგალითად აშშ, კანადა) ფერმერული მეურნეობები საკმაოდ დიდია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. მოსავლის დაზღვევის ტრადიციული პროდუქტისთვის პატარა ფერმებს გააჩნიათ მაღალი ადმინისტრაციული დანახარჯები, რაც საკმაოდ მაღალ პროცენტული მაჩვენებლებით აისახება მთლიან სადაზღვევო პრემიებში.

გამოყენებული წყაროები:

Ramune Uosyte, Lithuanian Institute of Agrarian Economics, “Crop Insurance for European Union Countries”, Challenges for Rural Development and Agri-Food Sector in 2007-2013, 14-15 December, Vilnius, Lithuania;

Ulrich Hass, Kaspar Richter, Andrea Stoppa, “Weather Risk Management for Agriculture and Agri-Business in Developing Countries”, IFC, World Bank, 2003;

Agricultural and Rural Development Department, “Managing Agricultural Production Risks, Innovations in Developing Countries”, World Bank, 2005;

Commodity Risk Management Group (CRMG), ARD, World Bank, Global Index Insurance Facility”, World Bank, 2007;

Major World Crop Areas and Climate Profiles Report “Agriculture Industry Study”, Weather Risk Management Association, 1997